გუშინ, მოსკოვში ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ითამაშეს ცსკა-სა და თბილისის "დინამოს" გუნდებმა.

მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, თუმცა დინამოელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის აშკარა შესაძლებლობა _ კალოევი ერთი ერთზე გავიდა არმიელთა მეკარესთან და ბურთი 3 მეტრის მანძილიდან ააცილა კარს. მეორე ტაიმის ??-ე წუთზე მოსკოველებმა ისარგებლეს თბილისელთა დაცვის შეცდომით და ლატიშევმა გაიტანა ბურთი.

თამაშის 67-ე წუთიდან თბილისელებმა მოიპოვეს რიცხობრივი უპირატესობა _ ბაქოელმა მსაჯმა ი. გრიგორიევმა უხეში თამაშისათვის მოედნიდან გააძევა არმიელი ბაგრიჩი, მაგრამ ვერც ეს გამოიყენეს თბილისელმა ფეხბურთელებმა და დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი _ 0:1.

თბილისის "დინამო" ზემოაღნიშნულ მატჩში ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ხელაძე, დათუნაშვილი (მელაშვილი), ბარქაია, კალოევი, იამანიძე, მესხი.

**"ლელო", 17 ოქტომბერი, 1961 წ.**